საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №2
პერიოდი: იანვარი-მარტი, 2012
მაისი, 2012
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMI).

USAID
ამერიკელი ხალხისგან

საია
GYLA
Georgian Young Lawyers' Association

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №2
პერიოდი: იანვარი-მარტი, 2012
მაისი, 2012
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორები: ეკა ხუციშვილი
თინათინ ავალიანი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ჩუგოშვილი
ეკატერინე ფოფხაძე
თამარ გვარამაძე

მონიტორინგის და კვლევის მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საიას მონიტორებმა: მარიამ ნიკოლაშვილი
გიორგი პოპანდოპულო
ვლადიმერ გექიშვილი

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 4

ძირითადი უფლებები და გამოვლენილი შედეგები 6

საჯარო განხილვის უფლება 6

თარჯიმნის ყოლის უფლება 13

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება 14

დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება 16

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა 18

დასკვნა 19

დანართები 23

4

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომების მონიტორინგის პროექტი 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო. მონიტორინგის პირველი ეტაპი განხორციელდა 2011 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით და შედეგები 2012 წლის აპრილში პროექტის პირველ ანგარიშში აისახა.

წინამდებარე ანგარიში რიგით მეორეა და 2012 წლის იანვრიდან მარტამდე არსებულ მონაცემებს ეფუძნება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) სასამართლო მონიტორინგის პროექტის მიზანია, სისხლის სამართლის საქმეებზე გამართული სასამართლო სხდომების დაკვირვების გზით, მათი გამჭვირვალობის გაზრდა და სასამართლო დარბაზებში რეალურად მიმდინარე პროცესის გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მართლმსაჯულების პროცესის სამართლიანობა, განსაკუთრებით კი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და სასამართლოს დამოუკიდებლობა არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი, დღემდე არც ერთ ორგანიზაციას სისტემატურად არ შეუგროვებია და საჯაროდ არ გამოუქვეყნებია მონაცემები, რაც სასამართლო ხელისუფლების კრიტიკას დაასაბუთებდა ან გააქარწყლებდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქმეების მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვების სისტემატურ პრობლემებზე მსჯელობა, პროცესის კომპლექსური შესწავლა შეუძლებელია ფართომასშტაბიანი დაკვირვების, ფაქტების მოძიებისა და სიღრმისეული ანალიზის გარეშე.

მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ გაიზომოს სასამართლოების ქმედების შესაბამისობა როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და საპროცესო კანონმდებლობასთან, ასევე პროფესიული ქცევის საერთაშორისო სტანდარტებთან, საიამ შეიმუშავა კითხვარის რამდენიმე ფორმა. საიას დამკვირვებლები კითხვარს იყენებდნენ, რათა დაედგინათ, რამდენად სრულყოფილად ხდებოდა სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურათა პრაქტიკაში განხორციელება. კერძოდ, საიამ გამოიყენა კითხვარის აღნიშნული ფორმები, რათა შეემოწმებინა წარმოებული სასამართლო სხდომების შესაბამისობა შემდეგ საპროცესო

სტანდარტებსა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებთან:

- საჯარო განხილვის უფლება
- მხარეთა თანასწორობა
- თარჯიმნის ყოლის უფლება
- თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება
- დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება
- არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

კითხვარებისთვის საიამ შეიმუშავა როგორც დახურული კითხვები, სადაც პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ისე ღია კითხვები, რომლებზე პასუხითაც მონიტორებს საშუალება ჰქონდათ, ვრცლად დაეფიქსირებინათ და განემარტათ სასამართლო სხდომაზე თავიანთი დაკვირვების შედეგები. ეს მათ საშუალებას აძლევდა, შეეკრიბათ ობიექტური, გაზომვადი მონაცემები და, იმავდროულად, დაეფიქსირებინათ მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი შესაძლებელია არ ასახავდეს წინამდებარე კვლევის თანდართული ცხრილის მონაცემებს, ანგარიშში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია მონიტორთა მიერ სასამართლო პროცესების უშუალო დაკვირვების შედეგადაა მოპოვებული და მათ პირველად ჩანაწერებშია ასახული.

საწყის ეტაპზე საიას მიზანს წარმოადგენდა მონიტორინგის განხორციელება თბილისის საქალაქო სასამართლოში. თუმცა, მომავალში იგეგმება პროექტის გაფართოება ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ სხვა სასამართლოებში. პროექტის განსახორციელებლად, საიას მიერ შეირჩა და მომზადდა იურიდიული განათლების სამი მონიტორი. ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ყოველდღიურად ესწრებოდნენ შემთხვევითი წესით შერჩეულ სასამართლო სხდომებს – დღის განმავლობაში, საშუალოდ, ორ-ოთხ სხდომას. სისხლის სამართლის პროცესის სირთულის გათვალისწინებით, საიას მონიტორები ესწრებოდნენ სისხლის სამართლის საქმეზე ცალკეულ სხდომებს, აფიქსირებდნენ მონაცემებს იმ კონკრეტულ სხდომაზე და არ აკვირდებოდნენ ერთ რომელიმე საქმეს მისი დასაწყისიდან დასრულებამდე. მონიტორები აკვირდებოდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფთა მხრიდან საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნების შესრულებას

და ყველა სხდომაზე ავსებდნენ შესაბამის კითხვარს. მონიტორების დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ხორციელდებოდა საიას გამოცდილი ადვოკატებისა და ანალიტიკოსების მიერ. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დასკვნები ანგარიშის ძირითადი ნაწილია და მომავალში საიას მიერ რეკომენდაციების მომზადების საფუძველს წარმოადგენს. ეს რეკომენდაციები მიზნად ისახავს საქართველოს სისხლის სამართალწარმოების შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ ეტაპზე მონიტორინგის პროექტის მიზანი არ არის საქმეზე მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენის არსებითი ანალიზი.

ანგარიში მოიცავს საიას მონიტორების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის პროცესების მონიტორინგის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს 2012 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში. ამ პერიოდის განმავლობაში საიას მონიტორები 237 სასამართლო სხდომას დაესწრნენ. მათ შორის: 84 – სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა (აღკვეთის ღონისძიების შეფარდება); 60 – წინა სასამართლო სხდომა; 56 – საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე სხდომა და 37 – მთავარი სასამართლო სხდომა.

საია იმედოვნებს, რომ მონიტორინგის განმავლობაში შეგროვებული ინფორმაცია და მის საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი დასკვნები ხელს შეუწყობს საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე პროცესებზე უფრო ნათელი სურათის შექმნას და ინფორმაციული იქნება სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებისთვისაც.

ძირითადი უფლებები და გამოვლენილი შედეგები

საჯარო განხილვის უფლება

ბრალდებულის უფლება სასამართლოში საჯარო განხილვაზე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით,[1] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით[2] და საქართველოს სისხლის სამართლის საპ-

[1] საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი: „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ";

[2] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მუხლი 6.1: "[...] სისხლის სამართლებრივი

როცესო კოდექსის (სსსკ) მე-10 მუხლით.[3]

საჯარო განხილვის უფლება არ წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებულის უფლებას – დაესწროს საზოგადოება მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვას. აღნიშნული ასევე გულისხმობს თავად საზოგადოების უფლებას, იყოს ინფორმირებული საქმის შესახებ და ჰქონდეს შესაძლებლობა, დაესწროს მის განხილვას. შესაბამისად, ეს უფლება მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საქმის განხილვის იმგვარი წარმართვა, რომ, საზოგადოების წარმომადგენლის დასწრების შემთხვევაში, ამ პირისათვის გასაგები და აღქმადი იყოს საქმის შინაარსი. ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს საქმის განხილვის თარიღის, ბრალდებულის სრული სახელისა და გვარის და ბრალად წაყენებული მუხლების წინასწარ გამოქვეყნება. სასამართლომ, ასევე, საჯარო უნდა გახადოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, რომელშიც იგულისხმება სასჯელი, შესაბამისი კანონმდებლობა (კონკრეტული მუხლები) და ბრალდებულის უფლება გასაჩივრების თაობაზე.[4]

<u>გამოვლენილი შედეგები</u>

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ, ერთი შემთხვევის გარდა, სასამართლო სხდომები ზოგადად იყო საჯარო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო სასამართლო სხდომაზე დასწრება.

ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას სასამართლო განხილვის მთელ ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს";

[3] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, მუხლი 10.1: "სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში." იმავე მუხლის მე-2 ნაწილი: "სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ";

[4] სსსკ-ის მუხლი 277.1: "განაჩენი დგინდება სასამართლო სხდომის დარბაზში ან სათათბირო ოთახში, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს." იმავე მუხლის მე-3 ნაწილი: "სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესს და ვადებს. [...]".

ამის მიუხედავად, საიას მონიტორებმა დააფიქსირეს რამდენიმე ხარვეზი, რომლებიც საჯარო სასამართლო განხილვის უფლების რეალიზებას უკავშირდებოდა. იმ სასამართლო სხდომების თითქმის ნახევარზე, რომლებსაც საია დაესწრო (237-დან 124 შემთხვევაში), სასამართლომ ვერ უზრუნველყო სასამართლო სხდომის თარიღისა და დროის სათანადო გამოქვეყნება.[5] ეს პრობლემა დაფიქსირდა სასამართლოში პირველი წარდგენის 84-ვე სხდომაზე.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინასწარ გამოქვეყნებული 111 სასამართლო სხდომიდან ცხრა საქმეზე არასრული ინფორმაცია იყო წარმოდგენილი. მაგალითად, განცხადება არ შეიცავდა ცნობებს სსსკ-ის ყველა იმ მუხლის შესახებ, რომლებიც ბრალდებულს ჰქონდა წაყენებული.

ზოგიერთ სხდომაზე მოსამართლეები ხმადაბლა და დამსწრეთათვის გაუგებრად საუბრობდნენ. საიას მონიტორებმა ეს 237-იდან 8 პროცესზე (3%) შეამჩნიეს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტენდენცია სასამართლოში მხოლოდ პირველი წარდგენის საქმეებზე დაფიქსირდა.

მონიტორინგის ფარგლებში, 237 სხდომიდან 61 შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა საქმეზე ამა თუ იმ სახის შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. 56 შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმება დაიდო, ხოლო ხუთი საქმე არსებითი განხილვის შედეგად დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით. 61 სხდომიდან სასამართლომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ გამოაცხადა საბოლოო გადაწყვეტილება საჯაროდ. ამასთან, საჯაროდ გამოცხადებული გადაწყვეტილებებიდან 3 შემთხვევაში მოსამართლემ გამოაცხადა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება და მას ბოლომდე არ განუმარტავს სასჯელის სახე და ზომა. ასევე, საქმეთა 63%-ის შემთხვევაში, სადაც სასამართლომ საჯაროდ გამოაცხადა განაჩენი, არ მიუთითა შესაბამისი კანონმდებლობა.

მხარეთა თანასწორობა

მხარეთა თანასწორობა ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეებს სამართალწარმოებისას თანასწორი

[5] სასამართლო სასამართლო აქვეყნებს ინფორმაციას საქმეების შესახებ მისაღებში განთავსებულ დიდ ეკრანზე და მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საია აკვირდებოდა ინფორმაციის მხოლოდ სასამართლო შენობაში გამოქვეყნებას.

უფლებები გააჩნიათ და საქმის მსვლელობისას თანაბარ პირობებში იმყოფებიან.[6] მხარეთა თანასწორობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, როდესაც ბრალდებას სახელმწიფო რესურსი და ძალაუფლება გააჩნია, ხოლო დაცვის მხარე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი უზრუნველყოფს დაცვის მხარის უფლებას, შეძლოს საქმის წარმოდგენა ბრალდებასთან თანაბარ პირობებში. ამისათვის, დაცვას უნდა გააჩნდეს ადეკვატური დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად, უფლება ადვოკატის მომსახურებაზე, ასევე, მოწმეების გამოძახებასა და დაკითხვაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის სავალდებულო დაცვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც, შეიძლება ბრალდებულისა და მისი უფლებების დაცვის განხორციელება გარკვეულ რისკებს შეიცავდეს. მაგალითად, ეს ეხება საქმეებს, სადაც ბრალდებული არ ფლობს სამართალწარმოების ენას, ან ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე, ანდა როდესაც იგი ფიზიკურად ან გონებრივად შეზღუდულია, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი თავის დაცვის განხორციელებას.[7]

---

[6] იხილეთ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 42.6: "ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვს ბრალდებულის მოწმეებს." აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.3: "ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაშ აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმ: [...] დ) დაკითხოს ან დაიკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეთა თანაბარ პირობებში";

[7] სსსკ-ის მუხლი 45: "სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი:
ა) თუ არასრულწლოვანია;
ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
ე) თუ ჩადენილი ქმედებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადებოს თაობაზე. [...]."

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები, რომელთა სხდომებზე დაკვირვებაც განხორციელდა, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებით ახერხებდნენ სასამართლო დარბაზში სიტუაციის გაკონტროლებას. ყოველ შემთხვევაში, გარე დამკვირვებლის თვალით ისინი ნეიტრალურები და მხარეთა მიმართ პატივისცემით განმსჭვალულები ჩანდნენ.

- არც ერთი სასამართლო სხდომის დროს არ დაფიქსირებულა მოსამართლის მხრიდან ისეთი ქმედება, რაც პროცესის მონაწილე მხარეებზე აშკარა ზეწოლის ფაქტად შეიძლებოდა მიჩნეულიყო.
- 37 საქმიდან, რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ, 18 სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მოწმეები. აქედან ორ შემთხვევაში მოწმეები დაკითხვამდე იმყოფებოდნენ დარბაზში.

<u>18 მთავარი სასამართლო სხდომიდან</u> მოსამართლეთა მხრიდან მოწმეთა აქტიური დაკითხვის ოთხი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა მოსამართლეთა მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დადგა. გარდა ამისა, ოთხივე შემთხვევაში, მოსამართლემ დაარღვია სსსკ-ით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს ეკრძალება მხარეთა ნებართვის გარეშე კითხვების დასმა.[8]

ზემოხსენებულ ოთხ საქმეში საიამ ყურადღება გაამახვილა მოსამართლის ქცევაზე, რომელმაც მისი ნეიტრალურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ერთ საქმეში მოსამართლემ საქმის განხილვა საკუთარი ინიციატივით გადადო და მხარეებს საპროცესო შეთანხმების დადებისკენ მოუწოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს და არც საპროცესო შეთანხმების სურვილს გამოთქვამდა. სხვა საქმეში მოსამართლემ კითხვები დაუსვა მოწმეს და შემდეგ სხდომის მდივანს მიუთითა, დასმული კითხვები სხდომის ოქმში არ ჩაეწერა. სხვა შემთხვევაში, მოსამართლემ მიუთითა პროკურორს, თუ რა შეკითხვები დაესვა მოწმისთვის. იყო კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ პროკურორის კითხვები საკუთარი შეკითხვებით განავრცო, რამაც შექმნა პროკურორის დახმარების შთაბეჭდილება.

წინა კვარტალის შედეგების მსგავსად, გადაწყვეტილების მიღების

---

[8] სსსკ მუხლი 25.2: "[...] მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად."

პროცესში მოსამართლეების მხრიდან შეინიშნებოდა პროკურორების მიმართ მიკერძოებული მიდგომა. კერძოდ:

- ბრალდებულის პირველი წარდგენის დროს სასამართლო ყოველთვის იზიარებდა ბრალდების პოზიციას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით, იქნებოდა ეს პატიმრობა თუ გირაო:
  - სასამართლომ 31-ვე შემთხვევაში, სადაც ბრალდების მხარემ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა.
  - 53-ვე შემთხვევაში მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიებად გირაო გამოიყენა მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნის შემთხვევაში. მოსამართლის მიერ შეფარდებული გირაოს თანხა კი, პროკურორის მიერ მოთხოვნილი თანხის იდენტური იყო.
- 51-ვე წინა სასამართლო სხდომაზე (60 სხდომიდან 9 გადაიდო), რომელსაც საია ესწრებოდა, მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.

ასევე, მხარეთა ქმედებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პროკურორთა მხრიდან, საქმეთა უმეტესობაში, გაცილებით მეტი აქტიურობა დაფიქსირდა:

- 51 წინა სასამართლო სხდომაზე, რომელსაც საია დაესწრო, ბრალდების მხარემ 51 შუამდგომლობა დააყენა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ხოლო დაცვის მხარემ – მხოლოდ 10. ძალიან იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე არ ეთანხმებოდა ბრალდების შუამდგომლობებს. ბრალდების მიერ წარდგენილი 51 შუამდგომლობიდან დაცვის მხარე მხოლოდ 8 შუამდგომლობას არ დაეთანხმა. მოსამართლემ არც ერთ შემთხვევაში დაცვის პოზიცია არ გაიზიარა და ბრალდების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. დაცვის მხარის 10 შუამდგომლობიდან სასამართლომ ყველა დააკმაყოფილა, თუმცა აქედან ყველას ეთანხმებოდა ბრალდების მხარე. დაცვის ორი სხვა შუამდგომლობა, რომლებიც მტკიცებულების წარდგენას არ ეხებოდა და ბრალდების მხარე არ დაეთანხმა, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იმ არსებითი განხილვის ხუთი სხდომიდან, რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ და რომლებიც

განაჩენით დასრულდა, არც ერთ საქმეში სასამართლოს ბრალდებული არ გაუმართლებია.

მონიტორინგის პერიოდში საიამ ყურადღება გაამახვილა სამ საქმეზე, სადაც ბრალდებულმა ვერ მოახერხა ადვოკატის ყოლის უფლების რეალიზება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საპროცესო კოდექსი სავალდებულო დაცვას ითვალისწინებდა. ერთ საქმეში ბრალდებული გონებრივად შეზღუდული იყო და არ შეეძლო, ადეკვატურად აღექვა სასამართლო სხდომის მიმდინარეობა და საკუთარი პოზიციების ნათლად დაფიქსირება. სხდომას ბრალდებულის დეიდა ესწრებოდა. მან მოსამართლეს აცნობა, რომ ბრალდებული 4 წელი გონებრივად შეზღუდულთათვის განკუთვნილ სპეციალურ სასწავლებელში სწავლობდა და რომ ვერ აცნობიერებდა სასამართლო სხდომაზე დასმულ შეკითხვებს, რადგან გონებრივად შეზღუდული იყო. დეიდამ მოსამართლეს ასევე განუცხადა, რომ ბრალდებულს ზოგჯერ გონება ეთიშებოდა და არ შეეძლო საკუთარი ქმედებების კონტროლი, ასევე, ბრალდებულმა არ იცოდა წერა-კითხვა. ამ ყველაფრის მოსმენის მიუხედავად, მოსამართლემ არანაირ ზომას არ მიმართა, რომ ბრალდებული ადვოკატით უზრუნველეყო.

მეორე შემთხვევაში, ბრალდებული კარგად არ ფლობდა ქართულ ენას, მას უჭირდა პასუხების გაცემა მოსამართლის მიერ დასმულ შეკითხვებზე და ითხოვდა განმარტებებს. ამის გამო, პროკურორმა განაცხადა, რომ შემდეგ სხდომაზე ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნებოდა. მოსამართლეს ამ შემთხვევაშიც არ ჰქონია რეაქცია.

მესამე შემთხვევაში, მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, ესმოდა თუ არა მას სამართალწარმოების ენა. თავდაპირველად ბრალდებულმა უპასუხა, რომ მან იცოდა ქართული ენა, თუმცა, შემდეგ, სხდომაზე აღმოჩნდა, რომ მას ქართული საკმარისად არ ესმოდა. მიუხედავად ბრალდებულის აშკარა დაბნეულობისა მთელი პროცესის მანძილზე, მოსამართლემ არ მოიწვია თარჯიმანი და ადვოკატი.

მხარეს აქვს მოსამართლის აცილების უფლება და აღნიშნული უფლების შეტყობინება ხდება სასამართლო განხილვის თითოეულ ეტაპზე, მხოლოდ სხდომის დაწყების წინ – ეს ბრალდებულის პირველი წარდგენაა, წინა სასამართლო სხდომა თუ არსებითი განხილვა. საია დააკვირდა 185 ცალკეულ პროცესს. აღმოჩნდა, რომ 35 საქმეში (19%) სასამართლომ არ შეატყობინა ბრალდებულს აცილების უფლების შესახებ.

თარჯიმნის ყოლის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია,[9] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი[10] და საერთაშორისო კონვენციები, რომლის მონაწილე მხარეც საქართველოა,[11] ითვალისწინებენ, რომ თუ პიროვნებამ არ იცის სამართალწარმოების ენა, მან უნდა ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის განმავლობაში საია დააკვირდა 13 მოსმენას, სადაც სავალდებულო იყო თარჯიმნის მონაწილეობა. 2 შემთხვევაში, ბრალდებულის თარჯიმნის ყოლის უფლება დაირღვა. პირველი შემთხვევა პირველი წარდგენის სხდომაზე დაფიქსირდა. მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, ფლობდა თუ არა ქართულ ენას, რაზეც ბრალდებულმა გაურკვეველი პასუხი გასცა. მან ჯერ დადებითად უპასუხა, შემდეგ კითხვაზე კი, შეეძლო თუ არა წერა-კითხვა, პასუხი ვერ გასცა. პროცესის მიმდინარეობისას ნათელი გახდა, რომ ბრალდებულს სათანადოდ არ ესმოდა პროცესის ენა. მაგალითად: მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ითხოვდა, ბრალდებულმა იკითხა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „შეფარდება“ და სიტყვის რუსული განმარტება ითხოვა, რაზეც მოსამართლეს რეაგირება არ მოუხდენია. მოგვიანებით, ბრალდებულმა განაცხადა რომ შეფარდებული თანხის ოდენობას ვერ გადაიხდიდა, თუმცა, ვერ დაასახელა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება, რადგან არ იცოდა სისხლის სამართლის პროცესი და ალტერნატიული ღონისძიების სახეები. ეს მისთვის არც მოსამართლეს განუმარტავს.

მეორე შემთხვევაში, არსებითი განხილვის პროცესზე, მართალია

---

[9] საქართველოს კონსტიტუტცია, მუხლი 85.2: “სამართალწარმოება უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის მიეჩინება თარჯიმანი”;

[10] სსსკ მუხლი 38.8: ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის დროს და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. [...]“;

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.3: “ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაშ აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმ: [...] ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო.”

თარჯიმანი იქნა მოწვეული, მაგრამ ის ცალსახად არაკვალიფიციურად ასრულებდა თავის მოვალეობას. თურქული ენის თარჯიმანი, რომელიც 4 ბრალდებულისთვის იყო მოწვეული, ბრალდებულებს არაფერს უთარგმნიდა და დუმდა, პროცესის მიმდინარეობისას კი, მოსამართლის ნებართვის გარეშე გავიდა დარბაზიდან. სამწუხაროდ, ამ ფაქტებზე მოსამართლეს რეაგირება არ მოუხდენია. მოსამართლემ არც სხვა კვალიფიციური თარჯიმანის მონაწილეობა უზრუნველყო, არც ზემოაღნიშნულ თარჯიმანს მიუთითა, დაბრუნებულიყო დარბაზში.

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს სისასტიკისა და თვითნებობისაგან ინდივიდის დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა. ეს უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით, [12] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით[13] და სსსკ 205-

[12] საქრათველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია"; იმავე მუხლის მე-2 ნაწილი: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე";

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლი: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის კანონიერი დაპატიმრება;

ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

დ) არასრულწლოვნის დაკავება კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით;

ე) ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად პირების,

ე (1) მუხლით.[14] სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე აღკვეთის ღონისძიების სახით პირისათვის პატიმრობის შეფარდების საფუძვლებს, შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობით, წარმოადგენს: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლოში პირველი წარდგენის 84 შემთხვევიდან 37%-ში სასამართლო აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას იყენებდა, ხოლო დანარჩენ 63%-ში – გირაოს. ბრალდებული არც ერთ შემთხვევაში არ გაუთავისუფლებიათ აღკვეთის ღონისძიებისაგან.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგად აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ და მხოლოდ ორი სახის გამოყენება დაფიქსირდა: პატიმრობა და გირაო. სსსკ კი აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე სახეს ითვალისწინებს (პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი მეთვალყურეობა), სწორედ იმისათვის, რომ პროცესის მწარმოებელ ორგანოს პირის მიმართ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებისათვის უფრო მეტი არჩევანი ჰქონდეს. საყურადღებოა, რომ იმ საქმეებიდან, რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ, არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა აღკვეთის ღონისძიების ზემოთ ჩამოთვლილი სახეების გამოყენება. არადა, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ რომელიმე მათგანის გამოყენება სავსებით გონივრულ ღონისძიებად ჩაითვლებოდა.

აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მაწანწალების კანონიერი დაკავება;

ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.";

[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.1: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ მაშინ თუ ეს ერთადერთი საშუალებაა რომ თავიდან იქნას აცილებული:

ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

ბ) მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

გ) ახალი დანაშაულის ჩადენა".

როგორც მონიტორინგმა აჩვენა, 31-ვე შემთხვევაში, როცა ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი იყო პატიმრობა, სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. სხვა შემთხვევებში, ბრალდებულს დაეკისრა გირაო (უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში, მთავარ სხდომაზე, დაცვის შუამდგომლობა პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრალდება დაეთანხმა ამ შუამდგომლობას).

საიას მონიტორებმა შენიშნეს, რომ გირაოს შეფარდება უშუალოდ ბრალდების მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა. როცა ბრალდება შუამდგომლობდა გირაოს გამოყენებას, შუამდგომლობა ყოველთვის კმაყოფილდებოდა. მოსამართლე გირაოს არ იყენებდა, თუ ამას ბრალდება არ ითხოვდა. გარდა ამისა, 53-ვე შემთხვევაში, სადაც გირაო აღკვეთის ღონისძიებად იქნა გამოყენებული, მოსამართლის მიერ შეფარდებული თანხა პროკურორის მიერ მოთხოვნილი თანხის იდენტური იყო. ამასთან, მოსამართლემ მხოლოდ 2 შემთხვევაში გაუზარდა ბრალდებულს გირაოს შეტანის ვადა.

დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება

სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს მოთხოვნას, რომ სასამართლომ გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს უფლება გარანტირებულია სსსკ-ით[15] და გამტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რიგ გადაწყვეტილებებში.[16] ეს უფლება კონვენციის ზოგადი პრინციპიდან მომდინარეობს, რომელიც იცავს პიროვნებას თვითნებური გადაწყვეტილებისგან და ეხება არა მხოლოდ საბოლოო განაჩენს, არამედ სასამართლოს მიერ ყველა ეტაპზე გამოტანილ გადაწყვეტილებას.

სსსკ-ით პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმაა. შესაბამისად, კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა“. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობა და მხედ-

[15] სსსკ მუხლი 194.2: “სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს”;
[16] მაგალითად, *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

ველობაში მიიღოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოება.

გამოვლენილი შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, საიას მეთოდოლოგია მოიცავდა ცალკეულ სასამართლო სხდომებზე დასწრებას და არა კონკრეტულ საქმეებზე გამართული სასამართლოს ყველას სხდომის მონიტორინგს. საია დაესწრო ზოგიერთ ისეთ სხდომას, რომელზეც სასამართლოს არ მოეთხოვებოდა შემაჯამებელი, დასაბუთებული გადაწყვეტილების წარმოდგენა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, როგორც წესი, გულისხმობს სასამართლოსაგან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილების იმავე სხდომაზე გამოტანას, საიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით, დაკვირვება სწორედ სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომებზე ეწარმოებინა.

საიას მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლემ, პატიმრობის შეფარდებისას, რიგ შემთხვევებში დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ – 31 სხდომიდან 12 (38%) შემთხვევაში.

გარდა ამისა, მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასამართლო იშვიათად ითხოვდა პროკურორისაგან პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის დასაბუთებას.

სასამართლოში პირველი წარდგენის 84 სხდომიდან 30 შემთხვევაში, ბრალდების ძირითადად არგუმენტს „დანაშაულის მოსალოდნელი გაგრძელება" წარმოადგენდა, თუმცა, 30-დან მხოლოდ 12 შემთხვევაში (40%) წარმოადგინა ბრალდებამ თავისი არგუმენტის დასაბუთება.

სასამართლოში პირველი წარდგენის 84-დან 43 შემთხვევაში, ბრალდების ძირითად არგუმენტს „მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა და მტკიცებულებათა განადგურება" წარმოადგენდა, თუმცა, 43-დან მხოლოდ 4 შემთხვევაში (9%) შეძლო ბრალდებამ, წარმოედგინა კონკრეტული ფაქტები თავისი მოთხოვნის მხარდასაჭერად.

მოსამართლემ გირაოს შეფარდება დაასაბუთა ბრალდებულის პირ-

ველი წარდგენის სხდომათა მხოლოდ 26%-ში (53-დან 14), რაც, საიას მოსაზრებით, საკმარისი დასაბუთება იყო გირაოს გამოსაყენებლად. პროკურატურამ მხოლოდ ამ 14 საქმეში წარმოუდგინა სასამართლოს ბრალდებულის ფინანსური სტატუსის დასაბუთება გირაოს განსასაზღვრად. არც ერთ სხვა შემთხვევაში, სასამართლოს ბრალდებულის ფინანსური სტატუსის გამორკვევა არ უცდია.

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით,[17] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით[18] და სსსკ-ის მე-4 მუხლით.[19] არასათანადო მოპყრობის აკრძალვა იცავს პირს წამებისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან.

ამ უფლების განსახორციელებლად, ბრალდებული ნათლად უნდა იყოს ინფორმირებული თავისი უფლებების შესახებ და ჰქონდეს არასათანადო მოპყრობის გამო საჩივრის შეტანის უფლება მიუკერძოებელ მოსამართლესთან. ეს, ლოგიკურად, სასამართლოსაც აკისრებს ვალდებულებას, რომ ბრალდებულს მიაწოდოს ინფორმაცია ამ უფლების შესახებ და მისცეს მას შესაძლებლობა, დააფიქსიროს თავისი უფლებების დარღვევის ფაქტები. ეს ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ბრალდებული იმყოფება პატიმრობაში და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან სრულ ფიზიკურ კონტროლს ექვემდებარება.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასამართლოში პირის პირველი წარდგენის დროს, შემთხვევათა 27%-ში (23 შემთხვევა 84-დან),

---

[17] საქართველოს კონსტიტუციისს 17.2 მუხლის თანახმად: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივის და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“;

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი: “არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას“;

[19] სსსკ მუხლი 4.2: „დაუშვებელია ადაიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის [...] გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. [...].“

მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება. აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ სასამართლოში პირის პირველი წარდგენის დროს, შემთხვევათა 19%-ში, მოსამართლეს არც კი უცდია გამოერკვია, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ასეთი საჩივარი.

საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე გამართულ სხდომათა 44%-ში (25 საქმე 56-დან) მოსამართლეებმა ბრალდებულს არ განუმარტეს, რომ არასათანადო მოპყრობის საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

შემთხვევათა 48%-ში (27 საქმე 56-დან) მოსამართლეებმა ბრალდებულს არ განუმარტეს, რომ, მიუხედავად დანაშაულის აღიარებისა, მას ჰქონდა დუმილის უფლება. შემთხვევათა 35%-ში (20 საქმე 56-დან) მოსამართლეებმა ბრალდებულს არ განუმარტეს, რომ საპროცესო შეთანხმების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია, რომელიც მან სასამართლოს მსვლელობისას გაამჟღავნა, არ შეიძლებოდა მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულიყო. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო ვერ უზრუნველყოფდა იმის გამორკვევას, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმება დადებული ძალადობის, ზეწოლის, მოტყუებისა და სხვა უკანონო დაპირებების გარეშე, ან, რომ ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების საშუალება. იყო ასევე შემთხვევა, როდესაც სასამართლომ არ მიაწოდა ბრალდებულს სრული ინფორმაცია მის უფლებაზე, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულიყო ძალადობის, ზეწოლის და მოტყუების გარეშე.

დასკვნა

ამ ანგარიშში მოცემული დასკვნები ძალიან ჰგავს პირველი სამი თვის საანგარიშო პერიოდში მოცემულ დასკვნებს. ეს განპირობებულია იმით, რომ პირველი და მეორე საანგარიშო პერიოდში მოპოვებული მონაცემები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. შესაძლოა, ძალიან ნაადრევია მონიტორინგის პროექტის ამ ეტაპზე რაიმე „ტენდენციებზე“ საუბარი სასამართლოს მიმართ, მაგრამ საიას მოსაზრებით, ამ 6 თვის მანძილზე მიღებული მონაცემები წარმოაჩენს ობიექტურ, ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში სასამართლო სხდომებზე. მონაცემები ასევე წარმოად-

გენს საწყის კრიტერიუმს, რომლითაც, პროექტის განხორციელების პროცესში თანდათან შეიძლება დადებითი და უარყოფითი ცვლილებები ან ტენდენციები გამოვლინდეს.

რაც შეეხება მონიტორინგის მეორე სამთვიან პერიოდს, საიამ აღმოაჩინა, რომ საქმეთა უმრავლესობაში, რომლებსაც იგი დააკვირდა, სასამართლომ საჯარო განხილვის უფლების მოთხოვნები დააკმაყოფილა. თუმცა, იყო თვალშისაცემი გამონაკლისი, კერძოდ, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები, სადაც სასამართლოს წინასწარ არასოდეს გამოუქვეყნებია სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი.

საიამ გამოავლინა, რომ არსებითი განხილვის უმეტესობაში შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც მხარეებს აძლევს საშუალებას, მოწმეები მოსამართლის ჩარევის გარეშე დაკითხონ, დაცული იყო, თუმცა აღმოჩნდა რამდენიმე მაგალითი, სადაც სასამართლომ თავის ნეიტრალურ როლს გადაუხვია და მოწმეთა დაკითხვაში აქტიურად ჩაერთო. პირველი სამი თვის შედეგებთან შედარებით, ამ ბოლო სამთვიანი მონიტორინგის მანძილზე საიამ მოსამართლის ჩარევის კიდევ უფრო სერიოზული შემთხვევები დააფიქსირა. ორ მნიშვნელოვან საქმეში მოსამართლე ღიად ჩაერია და აშკარად დაეხმარა ბრალდების მხარეს მოწმეთა დაკითხვაში.

ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებს უკეთესად შეეძლოთ ძირითადი უფლებების ახსნა ბრალდებულთათვის სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე. ეს განსაკუთრებით ეხება არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანისა და მოსამართლის აცილების უფლებებს. გარდა ამისა, საჭიროა, ზოგიერთმა მოსამართლემ უფრო ხმამაღლა და გასაგებად ისაუბროს სხდომის განმავლობაში, რათა მხარეებისა და დამსწრეებისთვის სრულად იყოს გასაგები სხდომის მიმდინარეობის შინაარსი.

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად სასამართლო სხდომის დარბაზში მხარეთა თანასწორობის შთაბეჭდილება იქმნებოდა, სასამართლო გადაწყვეტილებები მაინც ადასტურებს მოსამართლეთა ნაკლებად ნეიტრალურობასა და ბრალდებისკენ მიკერძოებას. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა პირველი წარდგენის სხდომათა მონიტორინგით. ყოველ საქმეზე, რომელსაც საია დააკვირდა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აკმაყოფილებდა ბრალდების შუამდგომლობებს აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას. *ყველა იმ საქმეში*, სადაც პროკურატურამ მოითხოვა დაპატიმრება, სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ბრალდებულს

პატიმრობა შეუფარდა. *ყველა იმ საქმეში,* სადაც პროკურატურამ მოითხოვა გირაო, სასამართლომ შეუფარდა ბრალდებულს გირაო. იშვიათ შემთხვევაში სასამართლომ წარმოადგინა დასაბუთება დაპატიმრების შეფარდებისთვის. რაც შეეხება გირაოს, სასამართლომ ყველა შემთხვევაში ბრალდებულს შეუფარდა ზუსტად ის თანხა, რაც პროკურატურამ მოითხოვა და არასოდეს – მასზე ნაკლები. უფრო მეტიც, გირაოს შეფარდებისას, სასამართლო არასათანადოდ ან საერთოდ არ ცდილობდა, გამოერკვია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა ან დაესაბუთებინა მისთვის შეფარდებული გირაოს თანხა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის პირველი წარდგენის 84 სხდომიდან არც ერთზე, რომელსაც საია დააკვირდა, ბრალდებული არ დაუტოვებია სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გარეშე. ყველა ბრალდებულს, მათ შორის მათაც, რომლებსაც მცირე მნიშვნელობის დანაშაულში ედებოდათ ბრალი, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო ან პატიმრობა. იგივე შედეგები დაფიქსირდა პირველ ანგარიშში და აღნიშნული კიდევ უფრო აძლიერებს შეხედულებას, რომ მოსამართლეები არ მოქმედებენ დამოუკიდებლად, არამედ მკაცრად მიჰყვებიან მთავრობის ე.წ. „ნოლუვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას.

სასამართლოს მიერ პროკურატურისადმი მიკერძოება სასამართლო განხილვის სხვა სტადიებზეც გამოჩნდა. საიამ გამოავლინა, რომ წინა სასამართლო სხდომაზე მოსამართლე *ყოველთვის* აკმაყოფილებდა პროკურორთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის შესახებ, ხოლო დაცვის შუამდგომლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმაყოფილებდა, თუ მას პროკურორი ეთანხმებოდა. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, წინა ანგარიშის მსგავსად, ამჯერადაც ის არის, რომ ყველა საქმეში, რომელშიც მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა, ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ (56 საპროცესო შეთანხმება და 5 არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენი).

მონიტორინგმა აჩვენა, რომ პროცესის მიმდინარეობისას ბრალდება, მთლიანობაში, იყო ბევრად უფრო აქტიური, ვიდრე დაცვა. მაგალითად, 60 წინა სასამართლო პროცესზე, რომლებსაც საიას მონიტორები აკვირდებოდნენ, ბრალდებამ 51 შუამდგომლობა წარადგინა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ხოლო დაცვამ — 10. გარდა ამისა, დაცვა იშვიათად არ ეთანხმებოდა ბრალდების შუამდგომლობებს. მონიტორინგის შედეგად ასევე ვლინდება, რომ სისხლის

სამართლის საქმის განხილვა უსაფუძვლოდ იხრება პროკურორის სასარგებლოდ და სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიღოს ზომები ბალანსის დასაცავად. საიას მიაჩნია, რომ ადვოკატებს შეუძლიათ უფრო მეტის გაკეთება აღნიშნული ბალანსის აღსადგენად, თუ ბევრად უფრო აქტიურები იქნებიან ბრალდებულთა ინტერესების დასაცავად.

დანართები

სასამართლოში პირველი წარდგენა — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 84

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	**84**	**100%**
კი	0	**0%**
არა	84	**100%**
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	**84**	**100%**
კი	83	**99%**
არა	1	**1%**
მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	**84**	**100%**
კი	76	**90%**
არა	8	**10%**
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	**84**	**100%**
კი	84	**100%**
არა	0	**0%**
მოსამართლემ/მდივანმა დაასახელა მხარეთა ვინაობა?	**84**	**100%**
კი	82	**98%**
არა	1	**1%**
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	1	**1%**
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის აცილების უფლება?	**84**	**100%**
კი	62	**74%**
არა	20	**2%**
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	2	**6%**
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი?	**84**	**100%**
კი	0	**0%**

არა	83	99%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	1	1%
მიუთითებდა თუ არა რაიმე მოსამართლის მიკერძოებაზე?	**84**	**100%**
კი	0	0%
არა	81	96%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	3	4%
ადვოკატი ესწრებოდა სხდომას?	**84**	**100%**
კი	46	55%
არა	38	45%
ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე იყო დანიშნული?	**84**	**100%**
კი	1	1%
არა	39	47%
არ აღნიშნულა სხდომაზე	44	52%
ადვოკატი სავალდებულო წესით იყო დანიშნული?	**84**	**100%**
კი	1	1%
არა	39	47%
არ აღნიშნულა სხდომაზე	44	52%
ადვოკატი მოწვეული იყო?	**84**	**100%**
კი	29	34%
არა	9	11%
არ აღნიშნულა სხდომაზე	46	55%
საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)?	**84**	**100%**
კი	1	1%
არა	1	1%
თარჯიმნის მოწვევა არ იყო აუცილებელი	82	98%
შერჩეული აღკვეთის ღონისძიება	**84**	**100%**

გირაო	53	**63%**
პატიმრობა	31	**37%**
პირადი თავდებობა	0	**0%**
სათანადო ქცევის და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმება	0	**0%**
სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	0	**0%**
მოსამართლემ აცნობა ბრალდებულს არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის წარდგენის უფლების თაობაზე?	**84**	**100%**
კი	59	**70%**
არა	23	**27%**
მხოლოდ ზოგადად აუხსნა უფლებები	2	**3%**
მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს ამ უკანასკნელს ჰქონდა თუ არა რაიმე საჩივარი თავის უფლებათა დარღვევის შესახებ?	**84**	**100%**
კი	66	**79%**
არა	16	**19%**
მხოლოდ ზოგადად აუხსნა უფლებები	2	**2%**

წინა სასამართლო სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 60

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	**60**	**100%**
კი	51	**85%**
არა	7	**12%**
უცნობია, რადგან პროცესი ჩატარდა იმავე დარბაზში სადაც წინა პროცესი ტარდებოდა და მონიტორმა ვერ შეძლო ინფორმაციის გადამოწმება	2	**3%**
მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	**60**	**100%**

კი	6	100%
არა	0	0%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	**60**	**100%**
კი	59	98%
არა	1	2%
საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)?	**60**	**100%**
კი	2	3%
არა	0	0%
თარჯიმნის მოწვევა არ იყო	58	97%
მოსამართლემ/მდივანმა დაასახელა მხარეთა ვინაობა?	**60**	**100%**
კი	54	90%
არა	4	7%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	2	3%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	**60**	**100%**
კი	60	100%
არა	0	0%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის/სხდომის მდივნის აცილების უფლება?	**60**	**100%**
კი	36	60%
არა	9	15%
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	15	25%

პროკურორმა წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ (9 სხდომა გადაიდო)?	**51**	**100%**
კი	51	**100%**
არა	0	**0%**
შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?		
კი	51	**100%**
არა	0	**0%**
დაცვამ დაუჭირა მხარი?		
კი	43	**84%**
არა	8	**16%**
დაცვამ წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ?	**51**	**100%**
კი	10	**20%**
არა	41	**80%**
შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?	**10**	**100%**
კი	10	**100%**
არა	0	**0%**
ბრალდებამ დაუჭირა მხარი?	**10**	**100%**
კი	10	**100%**
არა	0	**0%**
დაცვამ გამოთქვა პრეტენზია მომზადებისთვის სათანადო დროის და პირობების არქონის გამო?	**60**	**100%**
კი	0	**0%**
არა	56	**93%**
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	4	**7%**
რომელიმე მხარეს შეექმნა პრობლემები მტკიცებულებათა მოპოვებისას?	**60**	**100%**

კი	0	**0%**
არა	54	**90%**
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	6	**10%**
რომელიმე მხარეს არ მიეცა მტკიცებულებათა წარმოდგენის საშუალება?	**60**	**100%**
კი	0	**0%**
არა	54	**90%**
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	6	**10%**
რომელიმე მხარემ განაცხადა საჩივარი საქმის მასალებისა და წერილობითი მტკიცებულებების ხელმისაწვდომობაზე?	**60**	**100%**
კი	0	**0%**
არა	55	**92%**
მონიტორმა ვერ შეძლო მონაცემის დაფიქსირება	5	**8%**
დაკმაყოფილდა პროკურორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?	**51**	**100%**
სრულად	51	**100%**
ნაწილობრივ	0	**0%**
არ დაკმაყოფილდა	0	**0%**
დაკმაყოფილდა დაცვის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა?	**10**	**100%**
სრულად	10	**100%**
ნაწილობრივ	0	**0%**
არ დაკმაყოფილდა	0	**0%**

არსებითი განხილვის სხდომები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 37

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	**37**	**100%**
კი	31	84%
არა	6	16%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	**37**	**100%**
კი	36	97%
არა	1	3%
მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	**37**	**100%**
კი	37	100%
არა	0	0%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	**37**	**100%**
კი	37	100%
არა	0	0%
საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)?	**37**	**100%**
კი	5	**16%**
არა	0	**0%**
თარჯიმნის მოწვევა არ იყო აუცილებელი	32	**84%**
მოსამართლემ/მდივანმა დაასახელა მხარეთა ვინაობა? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 5 განხილვაზე, რომელიც არსებითი განხილვის ეტაპის პირველი სხდომა იყო.)	**5**	**100%**

კი	5	100%
არა	0	0%
გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა?	**5**	**100%**
კი	5	100%
არა	0	0%
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულის მოსამართლის/სხდომის მდივნის აცილების უფლება? (ეს კითხვა რელევანტური იყო მხოლოდ 5 შემთხვევაში)	5	100%
კი	5	100%
არა	0	0 %
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი?	**37**	**100%**
კი	0	0%
არა	37	100%
მოწმეები იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში დაკითხვამდე (ბრალდებულთა გამოკლებით, რომლებიც ესწრებიან სხდომას)?	**12**	**100%**
კი	2	17%
არა	10	83%
მოსამართლემ დაუსვა კითხვები მოწმეებს (ბრალდებულთა და ექსპერტთა ჩათვლით) ეს ციფრი აღნიშნავს იმ სხდომათა რაოდენობას, რომლებზეც დაიკითხნენ მოწმეები და არა მოწმეთა საერთო რაოდენობას)?	**18**	**100%**
კი	4	22%
არა	14	78%
მოსამართლემ რომელიმე მოწმეს შეაწყვეტინა საუბარი?	**18**	**100 %**
კი	1	6%

არა	17	**94 %**
თუ კი რომელი მხარის მოწმეს?		
ბრალდების	1	**%**
დაცვის	0	**%**

საპროცესო შეთანხმებები — დასწრებული სხდომების რაოდენობა: 56

საჯაროდ გამოცხადდა თუ არა სხდომის ჩატარების შესახებ?	**56**	**100%**
კი	29	52%
არა	27	48%
მოსამართლემ გამოაცხადა საქმის განხილვის შესახებ?	**56**	**100%**
კი	56	100%
არა	0	**0%**
მოსამართლე საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა?	**56**	**100%**
კი	56	100%
არა	0	0%
ყველასათვის იყო შესაძლებელი სხდომაზე დასწრება?	**56**	**100%**
კი	56	100%
არა	0	0%
საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი (თარჯიმნის პროცესზე დასწრება თავისთავად არ ნიშნავს რომ თარჯიმნის ყოლის უფლება რეალიზებულია, მაგალითად, თუკი თარჯიმანი აშკარად არ/ვერ ასრულებს თავის მოვალეობას)?	**56**	**100%**
კი	4	**5%**

არა	0	**0%**
თარჯიმნის მოწვევა არ იყო აუცილებელი	52	**95%**
მოსამართლემ აუხსნა ბრალდებულს მოსამართლის აცილების უფლება?	**56**	**100%**
კი	30	53%
არა	6	11%
დაკვირვება ხორციელდებოდა გადადებულ სხდომაზე და უცნობია, წინა სხდომაზე განემარტა თუ არა ეს უფლება ბრალდებულს	20	36%
მოსამართლის ქცევა რომელიმე მხარის მიმართ იყო დამაშინებელი?	**56**	**100%**
კი	0	0%
არა	56	100%
მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას?	**56**	**100%**
კი	11	20%
არა	25	44%
დაკვირვება ხორციელდებოდა გადადებულ სხდომაზე და უცნობია, წინა სხდომაზე განემარტა თუ არა ეს უფლება ბრალდებულს	20	36%